



ეკონომიკა

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები: წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წლიურად 1.4%-ით გაიზარდა 299.0 მლნ აშშ დოლარამდე 2021 წლის მე-3 კვარტალში, წინა კვარტალის 23.9%-იანი ზრდის შემდეგ (რომელიც ზრდის მიმართულებით დაზუსტდა). საქსტატის მიხედვით, მე-3 კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა ძირითადად რეინვესტიციით იყო განპირობებული, რომელიც წლიურად 138.1%-ით გაიზარდა და მთლიანი ინვესტიციების 98.1% შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში, ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა შემდეგ სექტორებში: საფინანსო სექტორი (87.1 მლნ აშშ დოლარი, -32.9% წ/წ), ენერგეტიკის სექტორი (69.3 მლნ აშშ დოლარი, +101.5% წ/წ), დამამუშავებელი მრეწველობა (54.8 მლნ აშშ დოლარი, +88.8% წ/წ) და ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (42.5 მლნ აშშ დოლარი, +300.6% წ/წ). უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები იყვნენ გაერთიანებული სამეფო (60.9 მლნ აშშ დოლარი), ნიდერლანდები (59.8 მლნ აშშ დოლარი) და ჩეხეთი (36.0 მლნ აშშ დოლარი). ჯამურად, 2021 წლის პირველ 9 თვეში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 3.2%-ით გაიზარდა და 728.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მშპ-ის 5.5%-ია.

მონეტარული პოლიტიკა: საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2021 წლის 8 დეკემბერს რეფინანსირების განაკვეთი 50 საბაზისო პუნქტით 10.5%-მდე გაზარდა. 2021 წლის ნოემბერში, საქართველოში წლიურმა ინფლაციამ 12.5% შეადგინა, რასაც სეზონის მიხედვით ძირითადად კვლავ ერთჯერადი ფაქტორები (საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ფართო მოხმარების პროდუქტებზე ფასების ზრდა) განაპირობებდა, რომლის წვლილი ნოემბრის წლიურ ინფლაციაში დაახლოებით 93%-ს უტოლდება. სეზონის მიხედვით, მიუხედავად ლარის გამყარებისა, ნოემბერში იმპორტირებულმა ინფლაციამ 18.0% შეადგინა. ინფლაციაზე მოქმედი სხვა ფაქტორებიდან სეზონი გამოყოფს მოთხოვნის ზრდას, რაც ფისკალურ სტიმულს, დაგროვილ მოთხოვნას და დაკრედიტების გაზრდას უკავშირდება; სეზონი ასევე გამოყოფს გაზრდილ ინფლაციურ მოლოდინებს. ეროვნული ბანკის პროგნოზით, ინფლაცია შემცირდება 2022 წლის გაზაფხულიდან დაიწყებს, რასაც ერთჯერადი ფაქტორების მიღეცასთან ერთად, დაგეგმილი ფისკალური კონსოლიდაცია და გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა შეუწყობს ხელს. ეროვნული ბანკი რეფინანსირების განაკვეთის შემცირების წინაპირობად ინფლაციის და ინფლაციური მოლოდინების მნიშვნელოვნად შემცირებას ასახელებს.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2022 წლის 2 თებერვალს ჩატარდება.

საერთაშორისო რეზერვები: საქართველოს ეროვნული ბანკის თანახმად, 2021 წლის ნოემბერში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები წლიურად 4.7%-ით გაიზარდა და 3.9 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო წინა თვესთან შედარებით რეზერვები 0.8%-ით შემცირდა (-30.5 მლნ აშშ დოლარი). რეზერვების ცვლილება უკავშირდება მთავრობის და საბანკო სექტორის სავალუტო ოპერაციებს, და/ან აქტივების გადაფასებას.


ეკონომიკური ინდიკატორები

	2019	2020
რეალური მშპ-ს ზრდა	5.0%	-6.8%
მშპ ერთ სულზე (ppp)	15,613	14,918
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	4,696	4,256
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	7.0%	2.4%
საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$)	3.5	3.9
მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %)	5.5%	12.4%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	2.1%	9.3%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	40.4%	60.0%
Fitch/S&P/Moody's*	BB/BB/Baa2	

წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები


*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში



წყარო: საქსტატი

ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები მლრდ აშშ დოლარი



წყარო: სეზ



ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2021 წლის 7 დეკემბერს 2-წლიანი 50 მლნ ლარის (16.1 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის ბენჩმარკ ბონდები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა დაახ. 2.8-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.01933-ით შემცირდა და 9.078% შეადგინა.

ასევე, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2021 წლის 7 დეკემბერს 6-თვიანი 20 მლნ ლარის (6.5 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ვალდებულებები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა დაახ. 2.8-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.07633-ით შემცირდა და 9.324% შეადგინა.

უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2021 წლის 14 დეკემბერს, სადაც 1-წლიანი 30 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები გაიყიდება.


სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2021 წელი

ვალიანობა	გამოშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება*
6-თვე	165	0	80
1-წელი	165	30	235
2-წელი	290	0	1,033
5-წელი	514	85	2,533
10-წელი	94	0	1,331
სულ	1,228	115	5,209

წყარო: ფინანსთა სამინისტრო


შენიშვნა: * 2021 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სეზ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სეზ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სეზ, საქსტატი

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სეზ

შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ევროობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ევროობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 2.19%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 106.01 (+0.18% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს კაპიტალის ევროობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 102.62 (-0.19% წინა კვირასთან შედარებით), 4.87%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს რკინიგზის ევროობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 100.29 ფასად (-0.04% წინა კვირასთან შედარებით), 3.95%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ევროობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 99.07 (+0.25% წინა კვირასთან შედარებით), 2.98%-იანი შემოსავლიანობით.

ევროობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg

ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ევროობლიგაციები								
გამომწვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-26	BB/BB/Ba2	99.07	2.98	193.78
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Jun-28	BB-/B+/-	100.29	3.95	280.17
GEBGG 07/23	USD	350	6.000%	Jul-23	BB-/B2	106.01	2.19	169.60
GEBGG 11 1/8 PERP	USD	100	11.125%	n/a	B-/B-	110.60	9.28	576.57
GEOCAP 03/24	USD	300	6.125%	Mar-24	-B/B2	102.62	4.87	417.30
SILKNET 04/24	USD	200	11.000%	Apr-24	B-/B1	107.55	7.36	374.51
TBC 06/24	USD	300	5.750%	Jun-24	BB-/B2	105.95	3.26	249.49
TBC PERP	USD	125	10.775%	n/a	B-/B-	109.67	9.64	608.92
GGU 07/25	USD	250	7.750%	Jul-25	B+/B-	106.40	5.77	335.09

ადგილობრივი ობლიგაციები


KTW 12/22	USD	10	9.00%	Dec-22	-/-/-	n/a	n/a	n/a
Nikora Trade	GEL	35	13.50%	Nov-24	-/-/-	n/a	n/a	n/a
M2CA 12/21	USD	30	7.50%	Dec-21	-/-/-	100.00	7.50	n/a
M2RE 10/22	USD	35	7.50%	Oct-22	-/-/-	100.43	7.20	n/a
GLC 08/22	USD	10	7.50%	Aug-22	-/-/-	n/a	n/a	n/a
GLC 07/23	USD	12	5.75%	Jul-23	-/-/-	n/a	n/a	n/a
GLC 07/23	EUR	3	4.75%	Jul-23	-/-/-	n/a	n/a	n/a
SILKNET 04/24	GEL	34	12.50%	Apr-24	B+/-/B1/-	n/a	n/a	n/a
Geo. Beer Company	GEL	25	13.00%	Dec-23	-/-/-BB-	n/a	n/a	n/a
Tegeta 04/22	GEL	30	10.75%	Apr-22	-/-/-BB-	n/a	n/a	n/a
EVEX 11/24	GEL	50	12.10%	Nov-24	-/-/-BB	n/a	n/a	n/a

წყარო: Bloomberg



აქციები


საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)



წყარო: Bloomberg

საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 16.06 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -1.95% წინა კვირასთან შედარებით და +0.37% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 1.1 მილიონ აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 15.46 - 16.26 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 87 ათასი აქცია შეადგინა.


თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 15.68 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -2.00% წინა კვირასთან შედარებით და უცვლელი გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 173 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 15.44 - 16.20 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 37 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 6.48 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -1.07% წინა კვირასთან შედარებით და +6.23% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 215 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 6.48 - 6.68 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 95 ათასი აქცია შეადგინა.



აქციები

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

								P/E		P/B	
	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ	ნ თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	2021F	2022F	2021F	2022F
Bank of Georgia	BGEO	GBP	16.06	790	25.9%	33.4%	31.6%	4.65x	4.84x	1.06x	0.97x
TBC	TBC	GBP	15.68	865	42.8%	31.8%	25.4%	4.78x	4.90x	0.99x	0.87x
Halyk Bank	HSBK	US\$	16.09	86,807	-7.9%	1.9%	10.8%	5.26x	5.16x	1.10x	0.99x
Sberbank	SBER	USD	16.24	4,772	0.2%	43.1%	39.4%	4.68x	4.47x	1.17x	1.07x
VTB Bank	VTBR	US\$	1.20	7,776	-14.8%	17.4%	25.7%	2.32x	2.35x	0.43x	0.33x
Akbank	AKBNK	TRY	7.27	37,804	31.7%	16.1%	4.9%	3.93x	3.15x	0.52x	0.46x
Garanti	GARAN	TRY	11.73	49,266	38.3%	23.5%	13.1%	3.96x	3.38x	0.66x	0.57x
Isbank	ISCTR	TRY	7.62	34,290	42.7%	16.9%	8.9%	3.51x	2.69x	0.45x	0.39x
PKO	PKO	PLN	43.50	54,375	8.4%	51.8%	51.5%	11.41x	10.21x	1.27x	1.18x
PEKAO	PEO	PLN	115.00	30,184	16.1%	86.1%	88.2%	14.39x	11.34x	1.17x	1.10x
Millennium	MIL	PLN	8.03	9,741	62.0%	148.5%	145.6%	10.34x	11.62x	1.26x	1.15x
Mbank	MBK	PLN	450.00	19,066	51.7%	145.2%	151.1%	16.35x	13.70x	1.13x	1.05x
BRD	BRD	RON	17.48	12,182	9.1%	17.8%	17.6%	10.97x	10.34x	1.31x	1.28x
Banca Transilvania	TLV	RON	2.49	15,684	1.1%	21.8%	21.5%	8.80x	8.61x	1.50x	1.39x
OTP	OTPD	USD	22.00	12,320	0.0%	-3.5%	-3.5%	8.23x	7.40x	0.67x	0.58x
Komerční	KOMB	CZK	895.50	170,189	12.7%	42.1%	36.3%	14.16x	12.93x	1.39x	1.40x
საშუალო								7.98x	7.32x	1.00x	0.92x
მედიანა								6.74x	6.28x	1.11x	1.02x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ინვესტიციების მართვის შესადარი კომპანიები

								P/E		P/B	
	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ	ნ თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	2021F	2022F	2021F	2022F
Georgia Capital	CGEO	GBP	6.48	308	4.2%	21.8%	20.0%	na	na	na	na
Tinc Comm	TINC	EUR	13.38	487	7.7%	3.7%	3.3%	na	na	na	na
Sabancı Holding	SAHOL	TRY	14.36	29,300	49.9%	37.4%	25.3%	4.82x	3.99x	0.64x	0.53x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	39.20	737	12.2%	24.7%	25.8%	4.01x	10.41x	1.05x	1.05x
Eurazeo	RF	EUR	73.80	5,847	2.4%	34.9%	33.0%	8.67x	9.72x	0.96x	0.88x
Carlyle Group	CG	USD	53.84	19,084	22.3%	81.2%	71.2%	12.80x	12.91x	4.91x	4.16x
საშუალო								7.57x	9.26x	1.89x	1.65x
მედიანა								6.74x	10.06x	1.01x	0.96x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოყენებისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოთხოვრებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთი ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამომავალის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტთან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარულის ან მომავლის მიმართ, გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აქვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამომავალს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირება უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დისტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დისტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტი ენდ თაგარტი
მისამართი: პუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: researcht@gt.ge